სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში

თბილისი
2021

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების გზით“ - ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

Brot für die Welt

Bread for the World – Protestant Development Service

კვლევის ხელმძღვანელები: მერაბ ქართველიშვილი

ავტორები: გვანცა საკანელაშვილი
იოსებ ედიშერაშვილი

რედაქტორი: ნინო ჯავახიშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

ყდის დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 5

მეთოდოლოგია 6

ძირითადი მიგნებები 7

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულირება
საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობაში 8

სექსუალური შევიწროების აკრძალვის პრაქტიკა ევროპის ქვეყნებში 11

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ
ბრძოლის მექანიზმები 12

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტები და
სამართალდარღვევის შედეგები 13

დასკვნა და რეკომენდაციები 19

დანართი 20

N1 - 3 იანვარი, 2020 წელი 20

N2 - 14 თებერვალი, 2020 წელი 20

N3 - 18 თებერვალი, 2020 წელი 21

N4 - 23 აპრილი, 2020 წელი 21

N5 - 23 აპრილი, 2020 წელი 21

N6 - 28 მაისი, 2020 წელი 22

N7 - 14 ივლისი, 2020 წელი 22

N8 - 26 აგვისტო, 2020 წელი 23

N9 - 20 ივლისი, 2020 წელი 23

N10 - 12 ოქტომბერი, 2020 წელი 23

N11 - 12 ოქტომბერი, 2020 წელი 24

N12- 9 სექტემბერი, 2020 წელი 24

N13 - 8 თებერვალი, 2020 წელი 25

N14 - 13 მარტი, 2020 წელი 25

N15 - 4 ივნისი, 2020 წელი 26

N16 - 20 აგვისტო, 2020 წელი 26

N17 - 20 ოქტომბერი, 2020 წელი 26

2021 წლის საქმეები 27
N18 - 4 თებერვალი, 2021 წელი 27
N19 - 8 თებერვალი, 2021 წელი 28
N20 - 26 თებერვალი, 2021 წელი 29
N21 - 19 მარტი, 2021 წელი 29
N22 - 17 მარტი, 2021 წელი 30
N23 - 9 მარტი, 2021 წელი 30
N24 - 18 მარტი, 2021 წელი 31
N25 - 19 მარტი, 2021 წელი 31
N26 - 21 მაისი, 2021 წელი 32

შესავალი

სექსუალური შევიწროება გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და რეგიონულმა სახელშეკრულებო სისტემებმა აღიარეს, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის ფორმა. ევროკავშირის 2002 წლის 23 სექტემბრის დირექტივა მამაკაცებისა და ქალების თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ, სექსუალურ შევიწროებას განსაზღვრავს, როგორც სექსუალური ხასიათის არასასურველ სიტყვიერ, არავერბალურ ან ფიზიკური ქცევის ნებისმიერ ფორმას, ჩადენილს ადამიანის ღირსების შელახვის მიზნით ან ეფექტით, განსაკუთრებით, თუკი ის ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.[1]

გაერო ქალთა სექსუალურ შევიწროებად განიხილავს ისეთ არასასურველ ქცევას, როგორიცაა ფიზიკური კონტაქტი, სექსუალური შენიშვნები, კომენტარები, პორნოგრაფიის ჩვენება და სექსუალური ქმედებების მოთხოვნა, იქნება ეს სიტყვით თუ ქმედებით.[2]

კვლევის ჩატარების მიზანი იყო საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულირების შესწავლა, ასევე, ქართულ კანონმდებლობაში სექსუალური შევიწროების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევის შემდეგ ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენების, სექსუალური შევიწროების ფაქტების გამოვლენის სიხშირისა და მათზე სათანადო რეაგირების შესწავლა.

კვლევას თან ერთვის შესაბამისი რეკომენდაციები. საია იმედს გამოთქვამს, რომ ამ რეკომენდაციებსა და მიგნებებს ადრესატები გამოიყენებენ სექსუალური შევიწროების შემთხვევების პრევენციის, უკვე ჩადენილ სამართალდარღვევის ფაქტზე ეფექტიანი რეაგირებისა და ადმინისტრაციული დარღვევის ჩამდენი პირის მიმართ ქმედების თანაზომიერი სახდელის დაკისრებისთვის.

[1] On the implementation of the principle of equal treatment for men and women as regards access to employment, vocational training and promotion, and working conditions (76/207/EEC). ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BsyZLm [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[2] UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW), CEDAW General Recommendation No. 19: Violence against women, 1992. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bwfW8g [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საკითხების რეგულირება ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო აქტებში. საიამ შეისწავლა გაეროსა და ევროპის საბჭოს გენერალური ასამბლეის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის დადგენილებები, ევროკავშირის კანონმდებლობა და გაეროს ზოგადი რეკომენდაციები.

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საკითხის გამოსაკვლევად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ორგანიზაციამ გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები 2020 წლის იანვრიდან 2021 წლის ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შესახებ დაფიქსირებულ ფაქტებზე. ასევე, ქვეყნის სამი დიდი ქალაქის, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებიდანაც გამოითხოვა 2020 წლის იანვრიდან 2021 წლის ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში სასამართლოების მიერ საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემები და გამოტანილი დადგენილებები.

გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, საიამ შეისწავლა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შემთხვევების გამოვლენის სიხშირე, საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, სექსუალური შევიწროების ფაქტებზე სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

ძირითადი მიგნებები

- **საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტების შემცირება და საბოლოოდ აღმოფხვრა ცნობიერების ამაღლების კამპანიის გარეშე შეუძლებელია;**
- **საჯარო სივრცეში შევიწროების შესამცირებლად აუცილებელია კამერების დამონტაჟება საზოგადოებრივ ტრანსპორტში, უკეთესი ხილვადობა და გაუმჯობესებული განათება საჯარო სივრცეებში;**
- **2020 წელს, პირველი 11 თვის მონაცემებით, შსს-ს მიერ გამოვლენილია სექსუალური შევიწროების 23 შემთხვევა, ხოლო 2021 წელს, 10 თვის მონაცემებით, გამოვლენილია 26 სამართალდარღვევა;**
- **კვლევის შედეგად სექსუალური შევიწროების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირებულია თბილისში. საანგარიშო პერიოდში სექსუალური შევიწროების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა გურიაში. თითო შემთხვევაა გამოვლენილი მცხეთა-მთიანეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში;**
- **შესწავლილი 26 დადგენილებიდან ადმინისტრაციული სამართლის საქმის წარმოება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეწყდა (თბილისში);**
- **სასამართლო სექსუალური შევიწროების საქმეებზე სახელის სახით, ძირითადად, იყენებს ჯარიმას სხვადასხვა ოდენობით. ერთ შემთხვევაში, 2020 წელს, გამოყენებულია სასამართლოს მიერ გამასწორებელი სამუშაო, მეორე შემთხვევაში - ადმინისტრაციული პატიმრობა;**
- **სასამართლო დადგენილებებში, რიგ შემთხვევაში, არ არის აღწერილი, რაში გამოიხატა სექსუალური შევიწროება და მხოლოდ ის არის მითითებული, რომ განხორციელდა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა პირის მიმართ;**
- **შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან ორ შემთხვევაში სექსუალური შევიწროებისას ჩახუტება, კოცნის მცდელობა და მკერდზე შეხება სასამართლოს მხრიდან მიჩნეულია მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედებად, რომელსაც არ შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება დაზარალებულისთვის. ამ საქმეებიდან ერთ შემთხვევაში შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, მეორე შემთხვევაში კი შემვიწროებლის მიმართ გამოიყენეს შენიშვნა.**

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების რეგულირება საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობაში

გაეროს გენერალური ასამბლეა განსაზღვრავს სექსუალურ შევიწროებას, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც აკრძალულია ყველანაირ სივრცეში და მოუწოდებს სახელმწიფოებს, შეიმუშაონ სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან სხვა ადმინისტრაციული სანქციები, ასევე პრევენციული მექანიზმები ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად.[3]

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ შესაბამისი ზომები ქალების დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ყველა სფეროში, მათ შორის, თანასწორობის, მმართველობისა და პოლიტიკის, სამუშაო ადგილზე, განათლების, ჯანდაცვის, საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში.[4] უფრო მეტიც, პეკინის სამოქმედო პლატფორმა აღიარებს სექსუალურ შევიწროებას, როგორც ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ფორმას და მოუწოდებს მრავალ აქტიორს, მათ შორის, მთავრობას, დამსაქმებლებს, პროფკავშირებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, უზრუნველყონ, რომ მთავრობებმა მიიღონ და აღასრულონ კანონები სექსუალური შევიწროების შესახებ, ასევე დამსაქმებლებმა განავითარონ შევიწროების საწინააღმდეგო პოლიტიკა და პრევენციის სხვა სტრატეგიები.[5]

ევროპულ სამართლებრივ სივრცეში ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია პირდაპირ ამყარებს წესს, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება სქესის ნიშნით დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში იცხოვროს და 23-ე მუხლით ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ თანასწორობა მამაკაცებსა და ქალებს შორის ყველა სფეროში.[6] ეს პრინციპი შემდგომში განავრცეს რამდენიმე დირექტივით, რომელიც ეხება სექსუალურ შევიწროებას. მათ შორის, არის დირექტივა 2006/54/EC, რომელიც დაკავშირებულია თანაბარ შესაძლებლობებთან დასაქმებაში[7] და დირექტივა 2004/113/EC, რომელიც დაკავშირებულია თანაბარ მოპყრობასთან საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისას.[8] ეს დირექტივები წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ეროვნულ კანონმდებლობაში შეიტანონ შემდეგი პრინციპები:

- აიკრძალოს დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე და განმტკიცდეს მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი მოპყრობის უფლება ყველა სფეროში, ეს იქნება დასაქმება, სამუშაო და ანაზღაურება, პროფესიული მომზადება, საქონელზე წვდომა თუ მომსახურება;
- განიმარტოს, რომ სექსუალური შევიწროება წარმოადგენს დისკრიმინაციას სქესის ნიშნით;
- აკრძალოს სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქონლისა და მომსახურების მიწოდებისას;

---

[3] გენერალური ასამბლეის 48/104 რეზოლუცია, „ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაციის შესახებ“, A/RES/48/104, 1994. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kN85Z6 [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[4] United Nations. “Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women”, მუხლი 7-16, 1979. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oPqB4u [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[5] Beijing Declaration and Platform for Action* The Fourth World Conference on Women, პ.178, 1995. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kN98s0 [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[6] European Union, Charter of Fundamental Rights of the European Union, 26 October 2012, 2012/C 326/02. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kMKKH5 [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[7] Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council of 5 July 2006. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CyfYbL [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[8] Council Directive 2004/113/EC Of 13 December 2004. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3w66uSK [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

- წაახალისონ დამსაქმებლები, მიიღონ ზომები სექსუალური დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ საბრძოლველად და სამუშაო ადგილზე შევიწროების თავიდან ასაცილებლად.[9]

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ (სტამბოლის კონვენცია) არის პირველი სავალდებულო დოკუმენტი ევროპაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ. ის ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს კანონების მიღებას, პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას მსხვერპლთა დასახმარებლად და, რაც მთავარია, ადეკვატური რესურსების გამოყოფას ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირებისთვის. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა ჩართონ ყველა შესაბამისი აქტორი სტამბულის კონვენციის განხორციელებაში, მათ შორის, ეროვნული პარლამენტები, ინსტიტუტები, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. კონვენციის მე-40 მუხლის მიხედვით: „მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნის გზით, დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს“.[10]

სექსუალური შევიწროების ცნება საქართველოს კანონმდებლობაში გაჩნდა, ძირითადად, ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შევიწროება განიმარტება, როგორც „ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“.

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად აღიარებს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.[11]

ანტიდისკრიმინაციული კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვა ნებისმიერ სივრცეში განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებას ფარავს - ეს შეიძლება იყოს სამუშაო ადგილი, საგანმანათლებლო სივრცე, სამედიცინო სივრცე, საჯარო სივრცე, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კვების/გასართობი/დასასვენებელი ობიექტების ჩათვლით და სხვა ნებისმიერი სივრცე, სადაც სექსუალური შევიწროების ფაქტს შეიძლება ჰქონდეს ადგილი. სახალხო დამცველი განმარტავს, რომ სექსუალური შევიწროება ყოველთვის იწვევს პირის ღირსების შელახვასა და დამცირებას. სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის გან-

[9] Prechal and Burri, EU Rules on Gender Equality: How are they transposed into national law? (2009). ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jTz7O7 [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[10] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30C6Fte [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[11] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი №4281, 25.02.2019; მუხლი 3. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30GjzpX [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

ზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, რამდენადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე.[12]

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებათა პაკეტი,[13] რომელმაც რეგულაციები დააწესა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით. ამ ცვლილებებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 166[1]-ე მუხლი, რომლის მიხედვით, სექსუალური შევიწროება არის საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

ეს მუხლი შედგება სამი ნაწილისგან და სამართალდარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სხვადასხვა სანქციას. მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის სანქცია 300 ლარია, ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში 500 ლარი ან გამოსასწორებელი სამუშაო. იმავე ქმედების წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვანის თანდასწრებით ჩადენა ითვალისწინებს ჯარიმას 500-დან 800 ლარამდე, ხოლო განმეორებით ჩადენა 800-დან 1000 ლარამდე ან გამოსასწორებელ სამუშაოს ერთ თვემდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღით.[14]

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე რეაგირების მოხდენა შეუძლია პოლიციას. საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტებზე დგება სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შემდგომში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება, ერთჯერადად, მხარის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას არ განეკუთვნება.

---

[12] სახალხო დამცველის რეკომენდაცია სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ. 4 თებერვალი, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CA8oMZ [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[13] საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტთა პაკეტი, სექსუალური შევიწროების აკრძალვის შესახებ რეგულაციების შემოღება, 2019. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3x1cpJj [ბოლო ნახვა: 17.11.2021].

[14] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 166[1]. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Cvzvsv [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

სექსუალური შევიწროების აკრძალვის პრაქტიკა ევროპის ქვეყნებში

სექსუალური შევიწროებისთვის ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული. სექსუალური შევიწროების ფაქტების ჩადენის სიმძიმიდან და სიხშირიდან გამომდინარე, სექსუალური შევიწროება კრიმინალიზებულია ევროპის არაერთ ქვეყანაში. მსგავსი ქმედება ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, პორტუგალია, ფინეთი და ა.შ.

გერმანიაში 2016 წლიდან სექსუალური შევიწროება ფიზიკური კონტაქტის სახით შეიძლება იყოს სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 184i მუხლით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან/და ჯარიმით.[15] უშუალოდ სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება აკრძალულია 2006 წლის ზოგადი თანაბარი მოპყრობის აქტის მე-2 ნაწილის შესაბამისად ((Allgemeines Gleichbehandlungsgesetz). სექსუალური შევიწროების სამართლებრივი განმარტება ამავე კანონის მე-3(4) ნაწილშია, რომელიც ამბობს, რომ სექსუალური შევიწროება არის „სექსუალური ხასიათის არასასურველი ქცევა, მათ შორის არასასურველი სექსუალური აქტები და მათი განხორციელების მოთხოვნა, სექსუალური ხასიათის ფიზიკური კონტაქტი, სექსუალური ხასიათის კომენტარები, აგრეთვე პორნოგრაფიული სურათების არასასურველი ჩვენება ან საჯარო გამოფენა, რომელსაც აქვს პირის ღირსების შელახვის მიზანი ან შედეგი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ხდება დაშინების მიზნით და ქმნის მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს“.[16]

გერმანიის მსგავსად, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსიც კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და სანქციად ითვალისწინებს ჯარიმას ან პატიმრობას.[17]

პორტუგალიის სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლში ნათქვამია, რომ ვინც ავიწროებს სხვა პირს, მის წინაშე ეწევა ექსჰიბიციონისტურ ქმედებებს, აყალიბებს სექსუალური შინაარსის წინადადებებს ან აიძულებს სექსუალური ხასიათის კონტაქტს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე ან ეკისრება ჯარიმა.[18]

ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და სანქციად აწესებს ჯარიმას ან ექვს თვემდე პატიმრობას.[19]

---

[15] German Criminal Code (Strafgesetzbuch – StGB) Section 184i. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kReIK9 [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[16] General Act on Equal Treatment. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3x1EWhR [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[17] Code Pénal Français, 01 janvier 2020 Paragraphe 4. (ხელმისაწვდომია ფრანგულად) https://bit.ly/3FvfwvR [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[18] GREVIO, "Report submitted by Portugal pursuant to Article 68, paragraph 1 of the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Baseline Report)", გვ.3, 2017. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3r7zaKL [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

[19] ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HAW2Ie [ბოლო ნახვა: 08.11.2021].

თავდაპირველად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბერკეტების შექმნა სექსუალური შევიწროების ფაქტებზე სათანადო რეაგირებისთვის. აუცილებელია სექსუალური შევიწროების დეფინიციის, საჯარო სივრცის, მსგავსი ფაქტების რეაგირებაზე უფლებამოსილების მქონე ორგანოების/თანამდებობის პირების განსაზღვრა.[20] თუმცა მხოლოდ დამდგარ ფაქტებზე რეაგირება ვერ ჩაითვლება სექსუალურ შევიწროებასთან ბრძოლის ეფექტიან საშუალებად. სექსუალური შევიწროების შემთხვევებთან ბრძოლა უნდა დაიწყოს მსგავსი ფაქტების პრევენციისკენ მიმართული მაქსიმალური ძალისხმევით.

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტების შესამცირებლად და საბოლოოდ აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა გენდერული სტერეოტიპებისა და პატრიარქალური ძალაუფლების ურთიერთობების წინააღმდეგ ბრძოლისა და სექსუალური შევიწროებისადმი ნულოვანი ტოლერანტობის ხელშეწყობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები. ვინაიდან სექსუალური შევიწროების საქმეებში შემვიწროებლებს წარმოადგენენ მამაკაცები, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა გენდერული თანასწორობის საგანმანათლებლო კამპანიებში. გოგონებისა და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, განათლების საწყის ეტაპებზე ორგანიზებული უნდა იყოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და კამპანიები.

განათლება გენდერული თანასწორობის შესახებ ყველა დონეზე არის ფუნდამენტური ინსტრუმენტი არასწორი ქცევის ამ ფორმების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, აზროვნების შეცვლის, სექსიზმისა და სექსუალური შევიწროების მიმართ კულტურული ტოლერანტობისთვის. შესაბამისად, ევროპარლამენტი ხაზს უსვამს სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამების და ამ თემაზე დებატების დანერგვის აუცილებლობას.[21] აღნიშნავს, რომ შესაბამისი ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობით შექმნილი ეს პროგრამები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას და დისკუსიებს სექსუალური შევიწროების პრევენციის/წინააღმდეგ მიმართული ზომების შესახებ.

საჯარო სივრცეში შევიწროების შესამცირებლად ეფექტიანი იქნება როგორც ფორმალური (პოლიციის და/ან მართლწესრიგის ოფიცრების რაოდენობის გაზრდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, კამერების დამონტაჟება საზოგადოებრივ ტრანსპორტში), ასევე ბუნებრივი მეთვალყურეობა (უკეთესი ხილვადობა და გაუმჯობესებული განათება).

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს სწორად და დროულად შეგროვებული სტატისტიკური მონაცემები. სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გააუმჯობესონ, ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ სქესის და ასაკის, რეგიონული განფენილობის, ქმედების კვალიფიკაციისა და ფაქტებზე საბოლოო შედეგის მიხედვით დანაწილებული, შესადარებელი მონაცემების სისტემატური შეგროვება.

პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია ადეკვატური დაფინანსება. უწყებების მხრიდან გამოყოფილი უნდა იყოს სათანადო ფინანსები, რათა მოხდეს სამართალდამცავების, მოსამართლეების და ყველა იმ პირის დატრენინგება, ვისაც შეხება აქვს სექსუალური შევიწროების შემთხვევებთან, რათა მათ ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია სექსუალური შევიწროების ნიშნების, შედეგების, სათანადო და ეფექტიანი რეაგირების შესახებ.

---

[20] European Parliaments' resolution "on measures to prevent and combat mobbing and sexual harassment at workplace, in public spaces, and political life in the EU", N P8_TA(2018)0331, P.48, 11.09.2018. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DykZSj [ბოლო ნახვა: 11.08.2021].

[21] Ibd, P. 52.

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტები და სამართალდარღვევის შედეგები

შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2021 წელს 2020 წელთან შედარებით სექსუალური შევიწროების ფაქტების გამოვლენა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. 2020 წელს, პირველი 10 თვის მონაცემებით, შსს-ს მიერ გამოვლენილია სექსუალური შევიწროების 23 შემთხვევა,[22] ხოლო 2021 წელს, 9 თვის მონაცემებით, გამოვლენილია 26 სამართალდარღვევა.[23] თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების მიერ გამოტანილი დადგენილებების მიხედვით, ყველაზე ხშირად სექსუალური შევიწროების ფაქტები დაფიქსირებულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში/ქუჩაში, ლიფტში და კორპუსების სადარბაზოებთან. სექსუალური შევიწროების ფაქტები მისი ჩადენის ადგილის მიხედვით გახლავთ: მეტრო - 3 შემთხვევა, ავტობუსი - 1 შემთხვევა, მიწისქვეშა გადასასვლელი - 2 შემთხვევა, ქუჩა - 7 შემთხვევა, სკვერი - 1 შემთხვევა, ლიფტი - 2 შემთხვევა, სადარბაზო - 3 შემთხვევა, ტაქსი - 1 შემთხვევა, სილამაზის სალონი - 1 შემთხვევა. 5 შემთხვევაში სასამართლოს დადგენილებებიდან არ ირკვევა ფაქტის ჩადენის ადგილი.

დიაგრამა №1

დიაგრამა ასახავს სექსუალური შევიწროების ფაქტების ჩადენის ადგილის პროცენტულ გადანაწილებას



საანგარიშო პერიოდში სექსუალური შევიწროების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირებულია თბილისში. საანგარიშო პერიოდში სექსუალური შევიწროების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა გურიაში. თითო შემთხვევაა გამოვლენილი მცხეთა-მთიანეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში.

[22] შსს-ს წერილი MIA 52002815525. 04.12.2020.
[23] შსს-ს წერილი MIA 82102850357. 29.10.2021.

ცხრილი №1

ასახავს 2020 წელს სექსუალური შევიწროების ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმების რაოდენობას და ტერიტორიულ გადანაწილებას

2020 წლის (იანვარი-ოქტომბერი) პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლით გათვალისწინებული, გამოვლენილი სამართალდარღვევები	
რეგიონი	**სამართალდარღვევა**
აჭარა	4
თბილისი	9
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	5
სამცხე-ჯავახეთი	4
ქვ. ქართლი	1
სულ	23

ცხრილი №2

ასახავს 2021 წელს სექსუალური შევიწროების ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმების რაოდენობას და ტერიტორიულ გადანაწილებას

2021 წლის (იანვარი-სექტემბერი) პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლით გათვალისწინებული, გამოვლენილი სამართალდარღვევები	
რეგიონი	**სამართალდარღვევა**
თბილისი	12
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	1
სამცხე-ჯავახეთი	1
მცხეთა-მთიანეთი	1
კახეთი	2
შიდა ქართლი	1
სულ	26

შინაგან საქმეთა სამინისტროსგან განსხვავებით, სრული ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოსგან ვერ მივიღეთ. 2020 წლის იანვრიდან 2021 წლის ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში სასამართლოების მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტზე განხილული საქმეების ზუსტი ოდენობა ჩვენთვის უცნობია, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში ამ კუთხით სტატისტიკის წარმოება არ ხდება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოებიდან სულ მივიღეთ 26 დადგენილება. დადგენილებების მიხედვით, ყველაზე მეტი სამართალდარღვევის საქმე 2020 წელს განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2020 წელს 8 საქმეა განხილული თბილისის საქალაქო სასამართლოში, 4 - ქუთაისის, 5 კი - ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

დიაგრამა №2

დიაგრამა ასახავს 2020 წელს თბილისის, ქუთაისის და ბათუმის საქალაქო სასამართლოების მიერ სექსუალური შევიწროების საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების პროცენტულ მაჩვენებელს



2021 წელს საიას ხელთ არსებული დადგენილებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოების მიერ სექსუალური შევიწროების საქმეების განხილვა შემცირებულია. საერთო ჯამში, 2021 წელს სულ განხილულია 9 სამართალდარღვევის საქმე, აქედან 5 საქმე განხილულია ბათუმის საქალაქო სასამართლოში, 4 - თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2021 წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არ ჰქონია საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საქმე.

საიას მიერ შესწავლილი 26 დადგენილებიდან ერთ შემთხვევაში შეწყდა საქმის წარმოება (თბილისში), 17 საქმეში დაკისრებულია ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით, 3 საქმეში დაკისრებულია ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, 1 საქმეში დაკისრებულია ჯარიმა 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით, 1 საქმეში დაკისრებულია ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, 1 საქმეში დაკისრებულია გამასწორებელი სამუშაო.

დიაგრამა №3

დიაგრამა ასახავს 2020-2021 წლებში სამი სასამართლოს მიერ სექსუალური შევიწროების საქმეებზე დაკისრებული სახდელის სახეების ოდენობებს.



განჩინებების ანალიზით დადგინდა, რომ სასამართლო სექსუალური შევიწროების საქმეებზე სახდელის სახით, ძირითადად, იყენებს ჯარიმას სხვადასხვა ოდენობით, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გამოყენებული სასამართლოს მიერ გამასწორებელი სამუშაო 2020 წელს.[24] თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2020 წელს გამოყენებულია პატიმრობაც,[25] თუმცა ეს დადგენილება საიასთვის არ მიუწოდებიათ. შესაბამისად, ორგანიზაცია მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს რა სიმძიმის სამართალდარღვევა მოხდა ამ შემთხვევაში.

სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ, რიგ შემთხვევაში, დადგენილებებში არ არის აღწერილი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მხრიდან რაში გამოიხატა სექსუალური შევიწროება და მხოლოდ მითითებულია, რომ განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა პირის მიმართ, რომლის მიზანი იყო შევიწროებულისთვის ღირსების შელახვა და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა.[26]

დადგენილებების კვლევისას, ასევე, გამოიკვეთა, რომ სექსუალური შევიწროების საქმეებზე სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენილი და გამოკვლეულია, ძირითადად, სამართალდარღვევის ოქმი, პირთან გასაუბრების ოქმი, ინფორმაცია საინფორმაციოდან. ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებას პირის სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ. გამონაკლისია ერთი შემთხვევა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.[27] სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულებები, რომ-

[24] დანართი N2.
[25] თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი N3-01133/4137833. 27.11.2020.
[26] დანართი N6, N8, N11.
[27] დანართი N12.

ლითაც დადასტურდებოდა ასკ-ის 166[1]-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. საქმეში მითითებულია, რომ სამართალდარღვევის ფაქტის დასადგენად ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ გამოკითხვის ოქმის წარდგენით შემოიფარგლა. სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცებულება არის არა გამოკითხვის ოქმი, არამედ დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებები. აღსანიშნავია, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტებზე ქუთაისის სასამართლოში წარდგენილია მსგავსი მტკიცებულებები, თუმცა ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებაში.

სექსუალური შევიწროება თავისი ბუნებით და შინაარსით, უმრავლეს შემთხვევაში, წარმოადგენს ფარულ ქმედებას, რომელიც ხილულია მხოლოდ სავარაუდო მსხვერპლისა და შემავიწროებლისათვის. სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენისას რთულია მოწმეების ან/და მატერიალური მტკიცებულებების მოპოვება. სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადასტურებლად მნიშვნელოვან მტკიცებულებათა სახეს წარმოადგენს როგორც პირდაპირ (რომლებიც გახდნენ სექსუალური შევიწროების ფაქტის/ფაქტების თვითმხილველი), ისე ირიბ (რომელთათვისაც ცნობილი გახდა სექსუალური შევიწროების შესახებ სავარაუდო მსხვერპლის ან მესამე პირის მხრიდან) მოწმეთა არსებობა.[28]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი,[29] რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი არ მოითხოვს, რომ მტკიცებულებათა ყველა ეს სახე საქმეში იყოს წარმოდგენილი. ჩამოთვლილი საშუალებებიდან ერთი ან რამდენიმე სახის მტკიცებულებით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს სექსუალური შევიწროების ფაქტი.

შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან ორ შემთხვევაში სექსუალური შევიწროებისას ჩახუტება, კოცნის მცდელობა და მკერდზე შეხება, სასამართლოს მხრიდან, მიჩნეულია მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედებად, რომელსაც არ შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება დაზარალებულისთვის.[30] ამ საქმეებიდან ერთ შემთხვევაში შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, მეორე შემთხვევაში კი მოძალადის მიმართ გამოყენებულ იქნა შენიშვნა.

სექსუალური შევიწროება განიხილება, როგორც სტრესორი, რომელიც მოქმედებს მსხვერპლის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. დადგენილია, რომ ქალებს, რომლებმაც განიცადეს შევიწროება ან თავდასხმა, დაახლოებით ორჯერ უფრო ხშირად აღენიშნებოდათ არტერიული წნევის მომატება და უძილობა.[31] თვითდადანაშაულება, გარე სამყაროსგან იზოლაცია, ბრაზი და სრული დეპრესიული აშლილობა - ეს ის ფსიქოლოგიური პრობლემებია, რომლებიც შესაძლოა სექსუალუ-

[28] თბილისის საქალაქო სასამართლოს 8.02.2021 წლის დადგენილება.
[29] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 236[1].
[30] დანართები N12, N14.
[31] ABC News, "Sexual harassment and assault affects women's psychological and physical health later in life", 2018. ხელმისაწვდომია: https://abcn.ws/3oL8BYU [ბოლო ნახვა: 21.11.2021].

რი შევიწროების მსხვერპლს განუვითარდეს. ჩამოთვლილი შედეგები იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ არ შეიძლება სექსუალური შევიწროების შემთხვევები სასამართლოს მიერ განხილული იყოს როგორც ქმედება, რომელსაც მოჰყვა მცირე მნიშვნელობის ზიანი მაშინ, როდესაც შევიწროებული პირი თავს მსხვერპლად თვლის და იყენებს სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს.

დასკვნა და რეკომენდაციები

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის მე-40 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნის გზით, დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს.

საქართველოში დღეს არსებული საკანონმდებლო რეგულაციებით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების როგორც ფიზიკური, ასევე ვერბალური და არავერბალური ფორმებისთვის. თუმცა მხოლოდ პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების ამ დარღვევასთან წარმატებულ ბრძოლას. აუცილებელია საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შემთხვევების პრევენციისთვის მოქალაქეების ცნობიერების დონის ამაღლება, ხოლო უკვე დამდგარ შემთხვევებზე სწორი და შესაბამისი რეაგირება.

კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად:

- სახელმწიფო უწყებებმა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში ერთ-ერთ მიზნად უნდა დასახონ საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა და სტრატეგიის განსახორციელებელ სამოქმედო გეგმაში ასახონ კონკრეტული აქტივობები მიზნის მისაღწევად;
- მნიშვნელოვანია, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შემცველი ქმედებებისა და საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის განხორციელება, განსაკუთრებით რეგიონებში;
- მნიშვნელოვანია, საჯარო სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების შესახებ ინფორმაციის განთავსება;
- მნიშვნელოვანია, კამერების დამონტაჟება საზოგადოებრივ ტრანსპორტში, გაუმჯობესებული განათება საჯარო სივრცეებში;
- აუცილებელია, სასამართლო დადგენილებებში გარკვევით აღიწეროს, რა სახის ქმედების ჩადენას ჰქონდა ადგილი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობადაკისრებული პირის მხრიდან. ეს აუცილებელია როგორც მხარისთვის დადგენილების გასაჩივრების დროს, ასევე დაინტერესებული პირებისთვის კვლევის მიზნებიდან გამომდინარე;
- საჭიროა, არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევის ქმედებების დაკონკრეტება საკანონმდებლო სივრცეში.

2020 წლის საქმეები

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმეები

N1 - 3 იანვარი, 2020 წელი

2019 წლის 26 დეკემბერს ქალაქ თბილისში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, მეტროსადგურ ავლაბარში, პირის მიმართ განახორციელა სექსუალური ხასიათის ქცევა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა შევიწროებულს ხელი მოჰკიდა კაბის ქვედა ნაწილში, საჯდომის არეში, რის გამოც იგი ანერვიულდა და შეშინდა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი დაეთანხმა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს და განმარტა, რომ, მართალია, მას შევიწროებულთან ჰქონდა სხეულებრივი სიახლოვე, თუმცა ვერ ივარაუდა, რომ ეს ქმედება დაზარალებულში ასეთ მღელვარებას გამოიწვევდა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

N2 - 14 თებერვალი, 2020 წელი

2019 წლის 15 ნოემბერს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა N21 სამარშრუტო ავტობუსით მგზავრობისას სექსუალურად შეავიწროვა მგზავრი. კერძოდ, სასქესო ორგანოთი ეხებოდა ფეხზე და მასტურბირებდა. მიუხედავად მოწოდებებისა, რომ შეჩერებულიყო, არ ჩერდებოდა და სასქესო ორგანოთი ბიძგებით ეხებოდა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი წარსულში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის დადგენილებით, ცნობილი იყო სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე ხლის პირველი ნაწილით და დაჯარიმებულია 300 (სამასი) ლარით.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი დაეთანხმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა გამასწორებელი სამუშაო 1 თვემდე ვადით.

N3 - 18 თებერვალი, 2020 წელი

2020 წლის 7 იანვარს, 22:35 საათზე, მეტროსადგურ მარჯანიშვილზე მოქალაქემ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე განახორციელა სექსუალური ხასიათის ქმედება, კერძოდ, იმყოფებოდა რა მეტროსადგურ დიდუბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სწრაფი კვების ობიექტში, ქალს მიუახლოვდა უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ეტყობოდა, რომ იყო არაფხიზელ მდგომარეობაში და შესთავაზა სექსუალური ხასიათის ურთიერთობა. ამის შემდგომ მოხვია ხელი. ქალმა განაგრძო მგზავრობა, რა დროსაც შენიშნა, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი აედევნა. ქალმა დახმარებისთვის მიმართა პატრულ-ინსპექტორებს, რომლებმაც შეაჩერეს ზემოთ ხსენებული პიროვნება.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1661-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

N4 - 23 აპრილი, 2020 წელი

2020 წლის 3 თებერვალს, 22:10 საათზე, მოქალაქეს გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელთან დახვდა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი და ხელი შეახო საჯდომზე. ამის შემდგომ, 2020 წლის 4 თებერვალს, 21:50 საათზე, იმავე ადგილზე განახორციელა იგივე ქმედება.

სასამართლო სხდომაზე მონაწილეობა არ მიიღო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

N5 - 23 აპრილი, 2020 წელი

2020 წლის 19 მარტს ქალაქ თბილისში, მოქალაქის მიმართ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, იგი დაზარალებულს ეფერებოდა და კოცნიდა, რითაც ქმნიდა მისთვის დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ გარემოს.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი სხდომაზე არ დაეთანხმა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს და განმარტა, რომ, მართალია, ჩაეხუტა, მაგრამ მის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა არ განუხორციელებია.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

N6 - 28 მაისი, 2020 წელი

2020 წლის 13 აპრილს ქალაქ თბილისში ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა. ქცევის მიზანი იყო შევიწროებულისთვის ღირსების შელახვა და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა აღიარა ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტი.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

N7 - 14 ივლისი, 2020 წელი

2020 წლის 5 ივნისს ქალაქ თბილისში, საზოგადოებრივ ადგილას, არასრულწლოვანის მიმართ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, კერძოდ, საუბრისას ავტომანქანიდან დაანახა სასქესო ორგანო, შევიწროებულს შეუქმნა შეურაცხმყოფელი გარემო.

სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი დაეთანხმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, გულწრფელად მოინანია ჩადენილი ქმედება და დაეთანხმა ოქმის შემდგენის პოზიციას მის მიმართ სახდელის გამოყენების თაობაზე.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის მესამე ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

N8 - 26 აგვისტო, 2020 წელი

2020 წლის 5 ივლისს ქალაქ თბილისში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას - თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქვედა ვესტიბიულში პირმა მოქალაქის მიმართ განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა და ამით შეუქმნა შეურაცხმყოფელი გარემო.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, დაეთანხმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და მოთხოვნას მის მიმართ ჯარიმის გამოყენების თაობაზე.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმეები

N9 - 20 ივლისი, 2020 წელი

2020 წლის 14 ივლისს ქალაქ ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირზე, ტროტუართან მდგარმა შ.რ-მ თავისი სასქესო ორგანო დაანახა მისთვის უცნობ ა.კ-ს.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განმარტა, რომ ძლიერ ნასვამი იყო და არ ახსოვს არაფერი, ამიტომ ვერც დაადასტურებს და ვერც უარყოფს სამართალდარღვევის ოქმში მითითებულ გარემოებებს.

შ.რ. ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

N10 - 12 ოქტომბერი, 2020 წელი

2020 წლის აგვისტოში არასრულწლოვანმა გ.ჩ-მ განახორციელა სექსუალური ხასიათის ქცევა, კერძოდ, გაუგზავნა კოცნა ბ.გ-ს ხელის მეშვეობით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას. ამ დროს იქვე იმყოფებოდა არასრულწლოვანი ა.დ. ეს ქცევა ბ.გ-სთვის იყო არასასურველი, შეიქმნა ღირსების შემლახველი გარემო, მისი მხრიდან ასეთი ქცევა წარმოადგენს სექსუალურ შევიწროებას.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული გ.ჩ. დაეთანხმა სამართალდარღვევის ოქმში მითითებულ გარემოებებს და განმარტა, რომ არ იცოდა მის მიერ განხორციელებული ჟესტიკულაცია თუ სამართალდარღვევა იყო და ისჯებოდა.

გ. ჩ. ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის მესამე ნაწილით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, სამართალდამრღვევი გათავისუფლდა ადმინისტრაციული სახდელისგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

N11 - 12 ოქტომბერი, 2020 წელი

2020 წლის სექტემბერში ქალაქ ქუთაისში, ერთ-ერთი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სკვერში, ღამის საათებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე განხორციელდა პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რამაც გამოიწვია პირის ღირსების შელახვა და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა დაადასტურა ოქმში მითითებული გარემოებები. განმარტა, რომ იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და ვერ გააკონტროლა თავისი ქმედება, ამასთან მოინანია ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტი და ითხოვა პატიება.

გ. ხ. ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

N12- 9 სექტემბერი, 2020 წელი

2020 წლის 6 სექტემბერს 23:00 საათიდან 23:47 საათამდე დროის მონაკვეთში ინდოეთის მოქალაქე ა.კ. ქუჩაში სუპერმარკეტ „დ.....ს“ მიმდებარედ შეხვდა ასევე ინდოეთის მოქალაქეს, რომელსაც ა.კ. მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩაეხუტა და დაუპირა კოცნა და შეეხო მკერდზე, რის გამოც ვ.კ-მ მიიღო სტრესი და შეიქმნა მისთვის დამამცირებელი და არასასურველი გარემო.

ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულმა პირმა ა.კ-მ არ დაადასტურა ოქმში მითითებული გარემოებები.

სასამართლოს განმარტებით, „მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა ა.კ-ს მხრიდან ასკ-ის 166[1]-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო სამართალდარღვევის ფაქტის დასადგენად შემოიფარგლა მხოლოდ გამოკითხვის ოქმის წარდგენით. ამასთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ ასკ-ის 236-ე მუხლით, მტკიცებულებაა არა გამოკითხვის ოქმი, არამედ დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებები“.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმეები

N13 - 8 თებერვალი, 2020 წელი

2019 წლის 1-ელ დეკემბერს, საღამოს საათებში, ქალაქ ბათუმში, საცხოვრებელი კორპუსის ლიფტის კაბინაში იმყოფებოდა ო.ზ. იქ შესულმა ე.ზ-მ ხელი წაიღო მისკენ, რის გამოც ო.ზ-ს შეეშინდა და სახეზე ხელები აიფარა. ამის შემდგომ ე.ზ-მ მას მაჯებზე მოჰკიდა ხელი, რითაც მოახდინა ო.ზ-ს სექსუალური შევიწროება.

საქმის განხილვისას ე.ზ. დაეთანხმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნა, რომ გაანალიზებული აქვს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქცევის ხასიათი, რასაც გულწრფელად ინანიებს და ითხოვს პატიებას.

ე.ზ. ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ასკ-ის 166[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა, 300 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

N14 - 13 მარტი, 2020 წელი

2019 წლის 3 სექტემბერს ბ.მ-მ ნ.ფ-ის მიმართ განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, კერძოდ „კოცნა“, რამაც ნ.ფ-ს შეუქმნა შეურაცხმყოფელი გარემო. ქალაქ ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილებაში 2020 წლის 19 თებერვალს ცალკე წარმოებისთვის გამოიყო სს N17 საქმე ბ.მ-ის მიერ ჩადენილი იძულების შესაძლო ფაქტზე, რომელიც დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ოქმის შემდგენი, რომელიც დაეთანხმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და მოითხოვა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელება.

სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილმა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა - ბ.მ-მ დაადასტურა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და პატიება ითხოვა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ.მ-ის მიერ ჩადენილი გადაცდომა ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის მქონედ, რამდენადაც ამ გადაცდომას მნიშვნელოვანი შედეგი/ზიანი არ მოჰყოლია.

ბ.მ. ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ის გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

N15 - 4 ივნისი, 2020 წელი

2020 წლის 24 თებერვალს, ღამის საათებში, ქალაქ ბათუმში, სადარბაზოსთან, მოქალაქე ა.ი-მ განახორციელა მ.ბ-ს მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა. კერძოდ, ცდილობდა კოცნას, რამაც გამოიწვია მისი შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა, შეუქმნა მას დამაშინებელი გარემო, რითაც განახორციელა მ.ბ-ს სექსუალური შევიწროება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საქმის განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განმარტა, რომ რაიმე ძალადობას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

ა.ი. ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ასკ-ის 166[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა, 300 (სამასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

N16 - 20 აგვისტო, 2020 წელი

2020 წლის 8 აგვისტოს, ქალაქ ბათუმში, სადარბაზოსთან, მოქალაქე ა.ჩ-მ ჯ.ჯ-ს მიმართ განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რაც გამოიხატა ჯ.ჯ-ს მიმართ ფეხზე ხელის მოსმით, რითაც ა.ჩ-მ მოახდინა მისი სექსუალური შევიწროება.

საქმის განხილვისას ა.ჩ. დაეთანხმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნა, რომ იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში. მას არ ახსოვს მომხდარი და არ იცნობს დაზარალებულს. მსგავს ფაქტს აქამდე ადგილი არ ჰქონია. მას გაანალიზებული აქვს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქცევის ხასიათი, რასაც გულწრფელად ინანიებს და ითხოვს პატიებას.წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ა. ჩ-მ ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ა.ჩ. ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ასკ-ის 166[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

N17 - 20 ოქტომბერი, 2020 წელი

2020 წლის 3 აგვისტოს, ქალაქ ბათუმის საცხოვრებელი კორპუსის ლიფტით მგზავრობისას, მოქალაქე ე.ზ-მ განახორციელა უკრაინის მოქალაქე ე.კ-ს მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, კერძოდ, იგი ხელით შეეხო მისთვის არასასურველ ადგილას, რამაც გამოიწვია ე.კ-ს შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა, განახორციელა ე.კ-ს სექსუალური შევიწროება.

ფაქტთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის 1-ელ განყოფილებაში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის N17 საქმეზე, უკრაინის მოქალაქე, ე.კ-ს მიმართ განხორციელებული იძულების შესაძლო ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.სისხლის სამართლის №17 საქმეზე, ე.ზ-ს მიერ იძულების შესაძლო ფაქტზე, დანაშაულის ნიშნებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, შეწყდა გამოძიება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ე.ზ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ერთხელ უკვე იყო სახდელდადებული იმავე სამართალდარღვევისათვის. კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 8 თებერვლის დადგენილებით ე.ზ. ცნეს სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და დაჯარიმდა 300 (სამასი) ლარით.

ე.ზ. ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ასკ-ის 166[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2021 წლის საქმეები

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმეები

N18 - 4 თებერვალი, 2021 წელი

2021 წლის 9 იანვარს დაზარალებულმა იმგზავრა ტაქსით, რა დროსაც ტაქსის მძღოლმა მიმართა მას სექსუალური ხასიათის ფრაზებით, ასევე ესაუბრებოდა სექსის შესახებ და შესთავაზა ინტიმური კავშირი, რაც იყო მისი ღირსების შემლახველი. კერძოდ, იმყოფებოდა მეგობართან ერთად ერთ-ერთ ქუჩაზე. დაახლოებით 19:30 საათზე გამოიძახა ტაქსი და იმგზავრა თავის საცხოვრებელ სახლამდე. გზაში მძღოლმა ჰკითხა ასაკი, სახელი და გვარი და დაუწყო საუბარი სექსუალურ გამოცდილებაზე. დაზარალებული დაიბნა და არაფერი უპასუხა. მძღოლმა ის დაპატიჟა სვანეთში და შესთავაზა ერთი ღამის სასტუმროში გატარება. საუბრის ბოლოს უთხრა: „იმდენი ვისაუბრე სექსზე, რომ სექსი მომინდა და ბინაში მარტო ცხოვრობ თუ ოჯახთან ერთად“. დაზარალებულმა უპასუხა, რომ ოჯახთან ერთად და გადავიდა ავტომანქანიდან. მომდევნო დღეს მძღოლმა მისწერა მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინება, რაზეც ქალმა არ უპასუხა, შემდეგ დაურეკა. 11 იანვარს მისწერა სოციალურ ქსელში, უთხრა, რომ შემთხვევით ნახა და მოიკითხა. ქალმა ტელეფონშიც და სოციალურ ქსელშიც დაბლოკა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განმარტა, რომ მგზავრთან ჰქონდა ჩვეულებრივი საუბარი, როგორც მგზავრსა და ტაქსის მძღოლს შორის. მას ინტიმური კავშირი არ შეუთავაზებია. საუბარი იყო პოლონეთში მუშაობის დროს პოლონელი ქალების თავისუფლებაზე, სექსუალური კუთხით. ასევე, ინფორმირების მიზნით, უთხრა, რომ თუკი ვინმეს დასჭირდებოდა სვანეთში წასვლა, შეეძლო წაეყვანა. მანვე აღნიშნა, რომ ტაქსიდან გადასვლის შემდეგ ***მანქანის ფარებით გაუნათა გზა, რადგან***

დაუბრკოლებლად მისულიყო დანიშნულების ადგილამდე. ტაქსის მძღოლმა განმარტა, რომ მობილური ტელეფონის ნომერზე და სოციალურ ქსელში არაერთი ***დაკავშირების მცდელობის მიზანი იყო გაერკვია, მშვიდობით თუ მივიდა სახლში და ხომ არ დაითრგუნა მისი ქმედებით***, რაც გამოიხატა მანქანის ფარების ანთებაში და გზის განათებაში.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

N19 - 8 თებერვალი, 2021 წელი

2020 წლის 24 დეკემბერს კორპუსის ეზოში დაზარალებული მისთვის უცნობმა მამაკაცმა (როგორც შემდგომში გაირკვა) საღამოს საათებში სექსუალურად შეავიწროვა. ჯერ სიტყვიერად შესთავაზა სექსობრივი კავშირი მასთან, ხოლო მოგვიანებით საჯდომსა და მკერდზე შეეხო, რითაც ღირსება შეულახა და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. დაზარალებული უყვიროდა, რომ მოშორებოდა იმ ადგილს და წასულიყო, რადგან არ სურდა მასთან არანაირი სახის კონტაქტი, თუმცა მოძალადე არ აძლევდა სახლში წასვლის უფლებას, აგინებდა და უხეშად ექცეოდა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტებით, იგი 2020 წლის 24 დეკემბერს, დაახლოებით ღამის 9 საათზე შევიდა მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად, სალაროსთან შეხვდა უცნობი ქალი, რომლის კატას მოეფერა. განმარტა, რომ გამოვიდა მაღაზიიდან და დაელოდა ქალს მაღაზიის კართან. მაღაზიიდან გამოსვლის შემდეგ მას ხელი დაადო, რათა გამოეხედა და გამოელაპარაკა. შემდეგ ქალი წავიდა და უკან გაჰყვა. ადმინისტრაციულ სახდელდადებულმა პირმა აღიარა, რომ ქალს შესთავაზა სექსობრივი კავშირი, მისგან კი უარყოფითი პასუხი მიიღო. განუმარტა, რომ მის კულტურაში მსგავსი რამ მიუღებელია. იგი უარყოფს საჯდომსა და მკერდზე შეხების ფაქტს და მიუთითებს, რომ პარკის წართმევის დროს შესაძლოა მკერდზე შემთხვევით შეეხო, რომ ბოდიშს უხდის შექმნილი უხერხულობის გამო. აღნიშნა, რომ გაიაზრა ჩადენილი ქმედება და ნანობს, პარკის წართმევისათვის კი უკვე დაისაჯა და მას პირობითი მსჯავრი აქვს დადებული.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

N20 - 26 თებერვალი, 2021 წელი

2020 წლის 29 ოქტომბერს ქალაქ თბილისში, დიდუბის პანთეონთან, ადმინისტრაციულ სახდელდადებულმა პირმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსხვერპლს (უწმაწური სიტყვებით) და განახორციელა სექსუალური ხასიათის ქმედებები. მოძალადის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგა 2021 წლის 15 თებერვალს.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მას არ ახსოვს, ჩაიდინა თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ასახული ფაქტობრივი გარემოებები, ვინაიდან იყო მთვრალ მდგომარეობაში, ხოლო როდესაც მთვრალ მდგომარეობაშია, ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აქვს პრობლემები, კერძოდ, ვერ აკონტროლებს და აცნობიერებს ჩადენილ ქმედებებს.

საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ, 2020 წლის 12 ოქტომბერს შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ მიერ შედგენილი ცნობის (ფორმა NIV-100/ა) მიხედვით, მოძალადეს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, დიაგნოზი - ორგანული პიროვნული აშლილობა. მოწმის სახით დაკითხული მკურნალი ექიმის მიერ მიცემული ცნობის მიხედვით, მოძალადეს ჰქონდა ფსიქოლოგიური პრობლემები, მათ შორის, თუ ეს უკანასკნელი მიიღებს ალკოჰოლურ სასმელს, დიდია ალბათობა, რომ ვერ შეძლოს ანგარიში გაუწიოს ან გააკონტროლოს თავისი მოქმედება. მოწმემ ისიც აღნიშნა, რომ არ შეუძლია უტყუარად იმის თქმა, შემთხვევის დროს იმყოფებოდა თუ არა ის შეურაცხად მდგომარეობაში.

მოწმის ჩვენების შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ სახეზეა ეჭვი იმის შესახებ, იმყოფებოდა თუ არა ქმედების განხორციელების დროს მოძალადე შერაცხად მდგომარეობაში. სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს ეჭვი უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის სასარგებლოდ. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეიძლება მას ბრალად შეერაცხოს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ შეწყდა.

N21 - 19 მარტი, 2021 წელი

2021 წლის 23 თებერვალს, დაახლოებით 19:20 საათზე, მ/ს ,,სარაჯიშვილის“ ქვედა ვესტიბიულში პირმა მოქალაქის მიმართ განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, კერძოდ, მსხვერპლთან მივიდა ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი და უთხრა, რომ ვინაიდან ეცვა მოკლე კაბა, უნდოდა მისი გაცნობა, რის გამოც მან თავი იგრძნო შეურაცხყოფილად.

სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განაცხადა, რომ თავისი მეგობრის თხოვნით, მსხვერპლთან გაცნობის მიზნით მივიდა და

უთხრა, რომ, მეგობრის აზრით, ძალიან კარგად ეცვა და ლამაზი იყო. ასევე, უთხრა, რომ მეგობარს მისი გაცნობა სურდა. საპასუხოდ მიიღო უხეში რეაქცია, რის გამოც თავი დაანება და დაბრუნდა თავის მეგობრებთან. ასევე, განაცხადა, რომ არც ის უთქვამს, მოკლე კაბა გაცვია და ამიტომ მსურს გაცნობაო.

საქმის მასალების გაანალიზების, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ვიდეოჩანაწერებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სასამართლომ მიაჩნია, რომ დადასტურებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

N22 - 17 მარტი, 2021 წელი

2021 წლის 1-ელ მარტს ქალაქ თბილისში, გლდანის 1-ლი მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მაღაზიასთან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა მოქალაქეს. მის მიმართ გამოხატავდა არასასურველ სექსუალურ ქმედებას. ასევე, არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლების არაერთგზის კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც ადმინისტრაციული წესით დააკავეს.

სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა აღიარა სამართალდარღვევების ჩადენის ფაქტები.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამავე კოდექსის 173-ე მუხლით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმეები

N23 - 9 მარტი, 2021 წელი

2021 წლის 9 იანვარს ე.ზ-მ ჯ.ბ-ს მიმართ განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, კერძოდ, საჯდომისა და მკერდის არეში შეეხო ხელით, რამაც ჯ.ბ-ს შეუქმნა შეურაცხმყოფელი გარემო.

სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილმა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა - ე.ზ-მ დაადასტურა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და ითხოვა პატიება.

ე.ზ. ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

N24 - 18 მარტი, 2021 წელი

2021 წლის 2 მარტს ქალაქ ბათუმში, სილამაზის სალონში გ. ე-მ არასრულწლოვან თ.ს-ის მიმართ განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, კერძოდ, ხელით შეეხო თ.ს-ს უკანალზე, მარჯვენა მხარეს. ასევე, მოიხსენია სექსუალური ხასიათის ფრაზებით.

სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი გ.ი. და მისი ადვოკატი მ.ზ. არ დაეთანხმნენ სამართალდარღვევის ოქმს.

გ.ი. ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

N25 - 19 მარტი, 2021 წელი

2021 წლის 17 თებერვალს ა.ა-მ მ.კ-ის მიმართ განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, კერძოდ, სახეზე შეეხო ხელით, რამაც მ.კს შეუქმნა შეურაცხმყოფელი გარემო.

სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილმა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა - ა.ა-მ განმარტა, რომ ამ ქალბატონს ინტიმურად არ შეხებია და მისი ღირსება არ შეულახავს.

ა.ა. ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2021 წლის 14 იანვარს მ.ჩ-მ ვ.შ-ის მიმართ განახორციელა არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, კერძოდ, ქალაქ ბათუმში, ვ.შ-ის თვალწინ ხელი ჩაიყო შარვალში სასქესო ორგანოზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 21 მაისის საოქმო განჩინებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე N4-7/21წ და N4-7/21წ გაერთიანდა ერთ წარმოებად და საქმეს მიენიჭა სააღრიცხვო სტატისტიკური ნომერი N4-7/21წ.

სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილმა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა - მ.ჩ-მ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ნაწილობრივ დაადასტურა და განმარტა, რომ მის ასეთ ქმედებებს განაპირობებდა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

გაერთიანებული ეპიზოდებიდან საქმის მასალების შესწავლის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ.ჩ-ის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის №ბე..96780 საფუძველზე დაწყებული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან მისი მასალების სასამართლოში წარმოდგენის მომენტიდან ამოწურულია მ.ჩ-ის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საკითხის განსახილველად განსაზღვრული ვადა.

ერთ ეპიზოდში მ.ჩ. ცნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1]-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.